პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 18 ივნისი № 140 (17783) ფასი 2 კაპ.

ზუგდიდელთა პლანტაციებში

470.000 ტონა ჩაისათვის!

ზუგდიდი. (საკ. კორ.). აქაურმა მეჩაიეებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა წლეულს უნდა მოკრიფონ და გადაამუშაონ 62 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც შარშანდელ მოკრეფილს და გადამუშავებულს 2 ათასი ტონით გადააჭარბებს. ეს არცთუ ისე იოლი ამოცანაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ დაგვიანებული და ცივი გაზაფხულის გამო 15-20 დღით მაინც დაყოვნდა ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია და შესაბამისად ჩაის ფოთლის კრეფის დაწყება.

დამფიქრებელი მდგომარეობის დასაძლევად პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა და სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებამ მიიღეს საგანგებო ღონისძიებები. გაიმართა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა თათბირები, ასევე მეჩაიეთა და მექანიზატორთა ზონალური თათბირ-სემინარები, სადაც დასახეს საქმიანი ღონისძიებები. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ნოვატორ და ახალგაზრდა მეჩაიეებსა და მექანიზატორებს შორის.

ერთიანი და დიდი დევიზით: ერთი ფოთოლიც არ დაგვრჩეს მოუკრეფავი, აღმოვფხვრათ დანაკარგები პლანტაციებში და ნედლეულის გაფლეთვისას, ვკრიფოთ ყოველდღიურად, ყოველგვარ ამინდში 5 კილოგრამით მეტი ფოთოლი და კრეფის წესების დაცვით მოკრეფილ ფოთოლში 3 პროცენტით გავზარდოთ პირველი ხარისხის მოცულობა.

დაწესდა მეჩაიეთა და მექანიზატორთა წამახალისებელი ღონისძიებები: ერთი მათგანი — ჩაის კრეფა შემოსული ფოთლის დუღილის ადგილებზე ადგილზე მიღებულ ფულად თანხებად. [illegible] ფასი, [illegible] ამ მეჩაიეებისა და მექანიზატორების, რგოლების, ბრიგადების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დასაჯილდოებლად, რომლებიც იბრძვიან ჩაის ფოთლის უდანაკარგოდ და ხარისხოვნად კრეფისათვის.

მეჩაიეების მხარდამხარ დგანან ვაჭრობის დარგის მუშაკები. რაიკოოპერატივმა და საზოგადოებრივი კვების გაერთიანებამ მეჩაიეები ადგილზევე უზრუნველყვეს სასურსათო საქონლითა და ცივი და ცხელი იაფფასიანი საჭმლებით, აგრეთვე გამამგრილებელი უალკოჰოლო სასმელებით.

ზუგდიდის რაიონის მშრომელები სისხამ დილიდან დაბინდებამდე დაუზარებლად ირჯებიან. მათი სურვილია თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ საქართველოს მეჩაიეების შრომაში დევიზით: **470 ათასი ტონა ჩაისათვის!**

პარტიული გაძღოლა — კონკრეტულ საქმეს!

დამკვრელურ წელს — დამკვრელური შრომა!

თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“ მაღალი კულტურის საწარმოა. მისი მოწინავე კოლექტივი ჩვენი ქვეყნის ატომურ- და თბოელექტროსადგურებს მთლიან გამომთვლელ კომპლექსებს აწვდის.

სურათებზე: ელექტროსამონტაჟო საამქროში. ამავე საამქროს მოწინავე მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. შულლიაშვილი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ინდუსტრია მთაშიც შეიჭრა

ქედა აჭარის ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონია. ცხოვრებამ აქ დღის წესრიგში ჩაის ფაბრიკის ამენების საკითხი დააყენა და აი, 1969 წელს ახალმა საწარმომ პირველი პროდუქცია გამოუშვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ქედური ჩაი საუკეთესო ხარისხის აღმოჩნდა. ბოლო წლებში მისი წარმოება ერთიორად გაიზარდა. საწარმო ნედლეულს უგზავნის ოდესის, რიგიანის, თბილისის, ბათუმის ჩაის საწონ ფაბრიკებს.

...შესვენების დროს მწვანეში ჩაფლულ ფაბრიკის ეზოში გამეფფნა ფაბრიკის კოლექტივი. ეს იყო ერთი ნაწილი მთის ‘რაონიდან ჩამოსული გლეხებისა, ახლა რომ მუშის საპატიო სახელი დიდამკვიდრეს, ადამიანები, რომლებიც დაეუფლნენ რთულ ტექნიკას და მაღალი ხარისხის ქართულ ჩაის უშვებენ.

ფაბრიკის მეზობელი შენობიდან ჩარხების განუწყვეტელი გუგუნი ისმის. ეს ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ფილიალია. ამ საწარმოსაც ათიოდე წლის ისტორია აქვს. აქ ჩაის ფაბრიკების, საკონსერვო და ღვინის ქარხნების დეტალებსა და სხვა აღჭურვილობას ამზადებენ.

მთის რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება შუდამ არის ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრში. შემუშავებულია და ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას იძლევა უფრო სრულად გამოიყენონ მატერიალური შესაძლებლობანი. მალე ქედის ფილიალი გაფართოვდება და ამით ორჯერ გაიზრდება მისი სიმძლავრე, გაუმჯობესდება მუშათა შრომის პირობები.

უფრო მრავალდარგოვანია ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის (დირექტორი ს. მახარაძე) საქმიანობა. კომბინატში შედის სამკერვალო საამქრო, კოკტაურის მინერალური წყლების საამქრო და ასფალტის ქარხანა, რომლებიც 1.850 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებენ. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა სამკურნალო წყალზე. ამჟამად ორ მილიონამდე ბოთლი „კოკტაურის“ ჩამოსხმა ხდება. მომავალ ხუთწლედში მისი წარმოება 10 მილიონ ბოთლამდე უნდა გაიზარდოს.

ეს ორმოცდაათი მუშა დასაქმებულია ქედის სატყეო მეურნეობაში. ხე-ტყის გამოზიდვა, დამუშავება, სხვადასხვა ტარისა და საოჯახო ინვენტარის დამზადება — აი მათი მთავარი საქმე. ქედელი მეტყევეები ერთ-ერთი მოწინავენი არიან თავიანთ თანამოსაქმეთა შორის.

ქედა მეღვინეობითაც არის ცნობილი. რაიონის პირველადი გადამუშავების ღვინის საწარმო ყოველწლიურად 1800 ტონაზე მეტ ყურძენს ამუშავებს და ხუთასი ათასი მანეთის პროდუქციას უშვებს.

სამრეწველო კოლექტივებში, საწარმოებში მუდამ არის ხოლმე პრობლემები და მოსაგვარებელი საკითხები. მთავარი, მტკივნეული საკითხად ბინით უზრუნველყოფის საკითხი რჩება.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქალაქი — სოფელს!

მთიბავმა ცელი აიღო

თბილისის ზღვაზე გრილი ნიავი ქრის, ლურჯად ლივლივებს წყალსაცავი და ქალაქიდან ასულ ადამიანს თავისკენ იზიდავს. უქმე დღეებში აქ უკვე ბევრი ქალაქელი ამოდის დასასვენებლად. თუმცა სამუშაოდაც ბევრნი ამოდიან. მას შემდეგ, რაც ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი „ბალახი მთიბავს ელოდება თბილისის შემოგარენში“, მთიბავმა ცელი აიღო. თიბვა დაიწყეს ოქროყანაში, კოჯრისა და ტაბახმელის მიდამოებში, ლისის ტბასთან, ფიზანთგვერდში, ავქალოსა და გლდანის გადაღმა, თიბავთემ მაგრად მოიკიდა ფეხი ზღვის გარშემო.

— მოუხმო თუ არა „კომუნისტმა“ მთიბავებს, ამ ძახილს ერთ-ერთი პირველნი ჩვენ გამოვეხმაურეთ, — გვეუბნება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკური ცენტრის დირექტორი სერგი იაკობიძე. ყოველივეს წინ ფიღოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს თაოსნობა, რომ საკუთარი ძალებით დიდძალი თივა დაამზადონ.

— ჩვენი სამზადისი იმით დაიწყო, — თქვა დირექტორის მოადგილემ ივანე ქავთარაძემ, — რომ შევიძინეთ ფოცებები, ფიწლები, აი ცელების შეძენა კი ვერ მოვახერხეთ. როგორც იყო ვინათხოვრეთ და ახლა 8-10 მთიბავი ყოველთვის გვყავს. დანარჩენები თვეს დაბულულებაზე ვმუშაობთ. უკვე დავამზადეთ 5 ტონა თივა, ერთი ამდენი კიდევ უნდა გავთიბოთ.

— თავდაპირველად ცოტა გვიჭირდა, გადაჩვეულები ვიყავით, მაგრამ შემდეგ აღვიდგინეთ „ფორმა“, — გვეუბნება ერთ-ერთი მთიბავი ლევან ბერაძე. იგი პარტიული ორგანიზაციის მდივანია და დირექტორთან ერთად ცდილობს რაც შეიძლება ბევრი გვარები ჩაგვწერინოს. აქაოდა ყველანი კარგად ირჯებიან და ყველა ქების ღირსიაო: მაინც ვინაო, ვეკითხებით, და გვეუბნებიან, რომ კარგად თიბავენ ზურაბ ცეცვაძე და პეტრე ლებანიძე, რეზო კეკვაძე და რეზო ონიანი, სოსო ვარდიძე და როინ ხატიაშვილი...

თავს აბულულებენ მარინე ბესელია და იასონ კვირიკაძე, მელიტონ ბახია და დავით ჭიჭინაძე.

უფროსების მხარდამხარ შრომობენ მთვარისა დვალიშვილი, ნელი ტაბატაძე...

შრომობენ ლაღად, ძალდაუტანებლად. — კარგიაო, — ამბობენ,—ხანდახან მაინც გავიშალოთ წელში, ფიზიკურად დავტვირთოთ მხარ-მკლავიო.

— ჭიამი მადაც უკეთესი გვაქვსო, — ხუმრობენ, და იმას კი არ ამბობენ, რომ ამგვარი ხელგარჯილობა კოლექტივს უფრო აახლოებს და ადუღებებს.

თბილისის დენდროლოგიურ პარკშიც დაუწყიათ თიბვა. გვესაუბრება ამ პარკის დირექტორის მოადგილე მერაბ ანთაძე: ამას წინათ „კომუნისტმა“ ჩვენც შეგვახსენა, რომ თიბვას ვაგვიანებდით, — თქვა მან,—მდგომარეობის გამოსასწორებლად, უფრო სწორად იმისათვის, რომ თავი არ შეგვერცხვინა, ყველამ გამოვიღეთ ხელი. კარგად შრომობენ მთიბავები გივი ალიხანოვი და ნოდარ ხუციშვილი, ჰამლეტ მელიქიძე და კოსტა ჯობაძე.

დენდროლოგიური პარკის მშრომელები ყველაფერს გაკეთებენ იმისათვის, რომ შეპირებულზე მეტი თივა დაამზადონ და შეასრულონ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიონული კომიტეტის დავალება. — გვითხრა საუბრის დასასრულს პარკის დირექტორის მოადგილემ.

მთიბავმა ცელი აიღო თბილისის შემოგარენში...

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათზე: საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკური ცენტრის მეცნიერი მუშაკები თიბვაზე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ლენინური პრემიების გადაცემა

საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრების დიდ ჯგუფს — თვალსაჩინო გამოკვლევებისა და ნაშუშევრების ავტორებს — 17 ივნისს კრემლში გადაეცათ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1980 წლის ლენინური პრემიის ლაურეატთა დიპლომები და საპატიო ნიშნები.

საზეიმო ცერემონიაზე გამოსულისას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. პ. ალექსანდროვმა გულთბადად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ დიდი შემოქმედებითი წარმატებანი. მან ხაზი გაუსვა, რომ ახალ ლაურეატთა შრომები მოწმობს საბჭოთა მეცნიერების მაღალ დონეს, მის მზარდ როლს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებაში.

ჯილდოს მიღებისას ლაურეატებმა უღრმესი მადლობა მოახსენეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მათი ნაღვაწის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვეს, რომ კვლავაც მოახმარენ მეცნიერულ და ინჟინერულ ძიებას მეცნიერებისა და ტექნიკის აქტუალური პრობლემების გადაჭრის საქმეს. (საკ. ინფ.).

ფრენის სადაგი დღეები

ფრენის მართვის ცენტრი, 17 ივნისი (საკ. ინფ.). ლეონიდ პოპოვისა და ვალერი რიუმინის სამუშაო დღე აღსავსეა სხვადასხვაგვარი კვლევა-ძიებით.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის ვრცელი პროგრამის ფარგლებში დამთავრდა მორიგი ექსპერიმენტი „კრისტალ“ დანადგარზე. ექსპერიმენტი ეწყობოდა იმ მიზნით, რომ მიკროგრავიტაციის პირობებში მიეღოთ ნახევარგამტარი მასალა გერმანიუმი.

კოსმონავტებმა სადგურის ორიენტაციისა და სტაბილიზაციის ავტომატური უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი ბლოკი შეცვალეს და ასრულებენ მის საკონტროლო შემოწმებებს. ამ სამუშაოთა დროს ეკიპაჟი ეწევა დედამიწის ზედაპირის ფოტოგრაფირებას და ხვეწს ვიზუალური დაკვირვებების ობიექტების გეოგრაფიული მისადგომების მეთოდებს.

ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟის მონაწილეობით დაგეგმილია დედამიწისირგვლივ ორბიტაზე და ზედა ატმოსფეროში გამა-გამოსხივებისა და დამუხტული ნაწილაკების ნაკადების ერთდროული გაზომვის ექსპერიმენტი. გაზომვა შესრულდება „სოიუზ-36“ ხომალდის საყოფაცხოვრებო ნაგავეთში დადგმული მცირეგაბარიტიანი „ელენე“ გამა-ტელესკოპისა და მაღლივ ატმოსფეროში მოთავსებული ანალოგიური აპარატურის მეშვეობით.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით „სალუტ-6“-„სოიუზ-36“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

ბოლოს

დავიცვათ და განვამტკიცოთ მუშაობა

მინსკი, 16 ივნისი. (საკ. ინფ.). მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მრავალ პრობლემას განიხილავენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პარლამენტართა ტრადიციულ შეხვედრებზე. შეხვედრა, რომელიც აქ გაიხსნა, ეწყობა ვარშავის ხელშეკრულების 25-ე წლისთავის წელს ძმური თავდაცვითი კავშირის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის საიუბილეო თათბირის მოწყობის ერთი თვის შემდეგ. შეხვედრის მონაწილეები მშვიდობის ბედისათვის მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით განიხილავენ დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომი გაძლიერებისათვის, ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის, განიარაღებისა და სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებისათვის პარლამენტებისა და პარლამენტარების ბრძოლის აქტივიზაციის საკითხებს.

შეხვედრაში მონაწილეობენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციები. შეხვედრას ესწრებიან ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები. მეუხარე ტაბით შეხვდნენ შეკრებილნი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას შეხვედრის მონაწილეებისადმი, რომელიც წაიკითხეს შეხვედრის გახსნაზე.

დილის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. შიტიკოვი.

ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა პარლამენტების დელეგაციათა ხელმძღვანელები 16 ივნისს მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. მ. მაშეროვმა.

დელეგაციებმა ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. სტუმრებმა გვირგვინით შეამკეს საბჭოთა არმიის მეომართა და პარტიზანთა ძეგლი — ობელისკი.

შეხვედრა მინსკში გრძელდება.

ისტორია თანამედროვეობას ემსახურება

რესპუბლიკის ისტორიკოს მეცნიერთა ბორჯომის მეორე შეხვედრის შედეგები

რესპუბლიკის ისტორიკოს მეცნიერთა ორი დღის შეხვედრა ქართველი ერის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა—ასეთია შეხვედრის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მეცნიერები საქმიანად ემზადებიან XXVI კონგრესისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის, რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-63 წლისთავისათვის, გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების ძმობის პირველი მანიფესტის მე-200 წლისთავისათვის. შეხვედრაზე შეჯამდა დამამთავრებელ ხუთწლედში ისტორიკოსთა მუშაობის ზოგიერთი შედეგი, დაისახა 1985 წლამდე მომავალ გამოკვლევათა გეგმების მონახაზები, ითქვა, რომ საჭიროა ამ კვლევას მიეცეს მეტი მასშტაბურობა, მიზანმიმართულობა, გაძლიერდეს მისი საზოგადოებრივი რეზონანსი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა, კერძოდ, ისტორიის მეცნიერებამ, მკაფიო პასუხი უნდა გასცეს ბევრ კითხვაზე, რომლებიც თანამედროვეებს, მთელ საზოგადოებრიობას აწუხებს. საქმის წარმატებისათვის უნდა განვითარდეს ეს მეცნიერებანი არა მარტო რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში, არამედ სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, სხვა ქალაქებში. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მეცნიერთა ცვლის მომზადებას.

„როგორც ჩანს, — ხაზგასმით აღინიშნა სკკპ XXV ყრილობაზე, — ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერების წინაშე დასახული ამოცანები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ცხოვრებასთან მისი უმჭიდროესი კავშირის პირობით, სქოლასტიკური თეორეტიკოსობა მხოლოდ შეაფერხებს ჩვენს წინსვლას. მხოლოდ პრაქტიკასთან კავშირმა შეიძლება აამაღლოს მეცნიერების ეფექტიანობა, დღეს კი ეს ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა“.

ეს მითითებანი სავსებით ეხება ავგრეთვე ისტორიოგრაფებს, არქეოლოგებს, ეთნოგრაფებს. მთელ თავიანთ საქმიანობაში ისინი უნდა იყვნენ პარტიულობის ლენინური პრინციპის თანამიმდევრული გამტარებლები. მათი ვალია მისხალ-მისხალ შეკრიბონ ისტორიის ძვირფასი მემკვიდრეობა, დაიცვან და გადასცენ იგი კომუნიზმის მშენებელთა მომავალ თაობებს. პლენარულ სხდომებსა და სექციებში შეხვედრის მონაწილეებმა კრიტიკულად შეაფასეს ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა, შეიტანეს მისი გაუმჯობესების რეკომენდაციები. მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა შეიქმნას ისეთი, მაგალითად, ერთობლივი ფუნდამენტური გამოკვლევები, როგორიც არის „რესპუბლიკასადმი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინური ნორმების აღდგენა, მისი სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-პოლიტიკური შედეგები (სამოცდაათიანი წლები)“, „ლენინი და საქართველო“, გამოიცეს საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის ისტორიის ნარკვევები, შრომები „საქართველო 1905 წლის რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“, „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში“, თბილისის ისტორიის სამტომეულის პირველი წიგნი. აკადემიის ინსტიტუტები, თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, მთელი რიგი სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაკები გამოსაცემად მოამზადებენ დოკუმენტებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფეოდალური ეპოქის ისტორიის შესახებ. უახლოეს წლებში უნდა დამთავრდეს მუშაობა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასზე და საქართველოს ეთნოგრაფიის პირველ სახელმძღვანელოზე, გამოსაცემად მომზადდეს კრებულები ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნოგრაფიული პარალელების შესახებ. აფხაზ და ოს ეთნოგრაფებთან ერთად მოეწყობა საექსპედიციო მუშაობა მასალების შესაგროვებლად და დასამუშავებლად.

საქინფორმის კორესპონდენტებმა რამდენიმე შეკითხვით მიმართეს შეხვედრის მონაწილეებს.

— თქვენი აზრით, რით გამოირჩევა წლევანდელი ბორჯომის შეხვედრა შარშანდელისაგან?

ამ კითხვაზე უპასუხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა გ. მელიქიშვილმა, რომელმაც თქვა:

— შარშანდელ შეხვედრაზე, ძირითადად, ერთმანეთს გავუზიარეთ ინფორმაცია იმ საშუშაოთა შესახებ, რომლებიც წარმოებს სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში და ისტორიის პროფილის კათედრებზე.

ახლანდელი შეხვედრა უფრო შორს წავიდა. მან მიზნად დაისახა წლის, აგრეთვე ხუთწლედის გეგმებით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტის სამუშაოთა კოორდინაცია. რამდენადაც ამ გეგმებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოსა და მისი ავტონომიური რეგიონების ისტორიის უახლესი პერიოდისადმი მიძღვნილი თემატიკის ხვედრითი წილი, ბუნებრივია, განსაკუთრებული ადგილი დაეთმო სამუშაოთა კოორდინაციას სწორედ ამ დარგში. ამაზე იყო საუბარი სექციათა სხდომებზეც.

— როგორია დამთავრებული შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები?

ამ კითხვაზე უპასუხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. სტურუამ:

— ჩვენ განვიხილეთ ქვეყნისა და ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისათვის — სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავის, აგრეთვე გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის მე-200 წლისთავისათვის მზადების საკითხები. ეს განხილვა ხელს შეუწყობს საქართველოსა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ისტორიის მთელი რიგი პრობლემების შემდგომ ღრმა დამუშავებას.

გაიმართა აზრთა სასარგებლო გაზიარება, დისკუსიები, განისაზღვრა მომავალი კვლევის მიმართულებანი.

— ყველაზე მეტად რამ მიიპყრო თქვენი ყურადღება სხდომებზე?

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა შ. ინალ-იფამ ამ კითხვაზე ასე უპასუხა:

— შეხვედრის მონაწილენი შეეხნენ არა მარტო იმას, რაც თვითონ და მათმა სამეცნიერო დაწესებულებებმა უკვე გააკეთეს, არამედ იმასაც, რაც უნდა გააკეთონ მომავალში. ერთმანეთის საქმიანობის ასეთი ურთიერთგაცნობა, ურთიერთორიენტირება საჭიროა იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ პარალელიზმი, ან, პირიქით, დარჩმართოთ ჩვენი მოღვაწეობა. ჩვენ დავაზუსტეთ ერთობლივი გამოკვლევების გეგმები აფხაზურ-ქართული ეთნოგრაფიულ პარალელების პრობლემებზე. ამ დარგში აფხაზი მეცნიერები ქართველ მეცნიერებთან ერთად აპირებენ შეასრულონ მთელი რიგი ფუნდამენტური გამოკვლევები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ბ. ტეხოვმა ხაზი გაუსვა იმ დიდ ინტერესს, რომელიც გამოიწვიეს საქართველოში სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ისტორიისადმი მიძღვნილმა ახალმა ნაშრომებმა. მნიშვნელოვანია ისიც, დასძინა მეცნიერმა, რომ წარმატებებთან ერთად გამოვავლინეთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, შევიმუშავეთ მათი დაძლევის, კვლევის ეფექტიანობის გაზრდის გზები. შემუშავებულია საველე არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპედიციების შემდგომი კოორდინაციის, აგრეთვე საქართველოს შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემატიკის კვლევის კონკრეტული რეკომენდაციები.

კითხვაზე იმის შესახებ, **თუ როგორია მეცნიერთა ამგვარი წარმომადგენლობითი კრებების პრაქტიკული სარგებლობა,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა შ. ინალ-იფამ ამ კითხვაზე ასე უპასუხა:

— შეხვედრის მონაწილენი შეეხნენ არა მარტო იმას, რაც თვითონ და მათმა სამეცნიერო დაწესებულებებმა უკვე გააკეთეს, არამედ იმასაც, რაც უნდა გააკეთონ მომავალში. ერთმანეთის საქმიანობის ასეთი ურთიერთგაცნობა, ურთიერთორიენტირება საჭიროა იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ პარალელიზმი, ან, პირიქით, დარჩმართოთ ჩვენი მოღვაწეობა. ჩვენ დავაზუსტეთ ერთობლივი გამოკვლევების გეგმები აფხაზურ-ქართული ეთნოგრაფიულ პარალელების პრობლემებზე. ამ დარგში აფხაზი მეცნიერები ქართველ მეცნიერებთან ერთად აპირებენ შეასრულონ მთელი რიგი ფუნდამენტური გამოკვლევები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ბ. ტეხოვი ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ინსტიტუტი ამ ბოლო დროს ეფექტიანად ებრძოლა ეროვნულ-ნაციონალისტურ ელემენტებს, ეროვნულ-ნაციონალისტურ ელემენტებს ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული ფასეულობანი,

მწვავე პრობლემა

ბათუმი. აქ დამთავრდა ქცევის ნორმებიდან გადახრის სოციოლოგიისა და კომუნისტური აღზრდის ამოცანებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ოთხ დღეს გრძელდებოდა. კონფერენცია მოაწყო საბჭოთა კავშირის სოციოლოგიის ასოციაციამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად. მოსკოვის, ლენინგრადის, ყაზანის, ამურის კომსომოლსკის, რუსეთის ფედერაციის სხვა ქალაქების სოციოლოგებმა, ფილოსოფოსებმა, იურისტებმა, ფსიქოლოგებმა, ეკონომისტებმა, პედაგოგებმა, აგრეთვე საქართველოში, უკრაინაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ამ დარგში მომუშავე მეცნიერებმა ერთმანეთს გაუზიარეს ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და მათი პროფილაქტიკის პრობლემათა შესწავლის გამოცდილება.

პრობლემის სხვადასხვა ასპექტზე მოხსენება გააკეთეს ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ლატვიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის დოცენტმა ტ. ი. ტიტარენკომ, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. გ. ვიშნევსკიმ და სხვებმა.

„საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში „საბჭოთა კავშირის სოციოლოგიის ასოციაციის“ ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი სექციის „ქცევის ნორმებიდან გადახრის სოციოლოგიის“ თავმჯდომარემ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ბ. მ. ლევინმა თქვა:

— სხვადასხვა სახის ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებები — ლოთობა, დანაშაული არ შეესაბამება საზოგადოების სოციალური მომწიფებულობის დონესა და ჩვენს ქვეყანაში გამეფებულ მორალურ კლიმატს.

სოციალური ნორმებიდან სხვადასხვა გადახრის მიზეზების, პირობების, ფორმებისა და შედეგების კვლევის გაღრმავება არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი წინამძღვარია. მათ წინააღმდეგ ბრძოლის გაკვიტურება არსებითს ხდის პროგრესს ნიშნავს ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფაში, მისი ნეგატიური მხარეების შენელებასა და ლიკვიდაციაში. კონფერენციაზე განვიხილეთ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის მიზეზების შესწავლის მიმართულებები, კომუნისტური აღზრდის აქტუალური საკითხები, სხვადასხვა სოციალური ექსპერიმენტი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდი ყურადღება მიიპყრო ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის დარგში სკკპ კიროვის საქალაქო კომიტეტის ღონისძიებათა პროგრამამ, აგრეთვე ქალაქ გორკის სიფხიზლის საზოგადოების საქმიანობამ.

კონფერენციამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ამ მიმართულებით ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება, ამ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მთელი რიგი დადებითი გამოცდილების გავრცელება, ალკოჰოლის საწინააღმდეგო პროპაგანდის გაქტიურება, ქვეყანაში ამ დარგში მომდინარე ყველა მეცნიერული კვლევის კოორდინაცია.

კონფერენციის მონაწილენი შეხვდნენ აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს, ხელმძღვანელ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ მუშაკებს, ჟურნალისტებს.

გაუფრთხილდეს ყველა — დაცავი ჯანმრთელობის კერა

ცნობილი კურორტის ახტალის მახლობლად ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექციამ ამას წინათ უნებართვოდ დაიწყო ჭაბურღილის ბურღვა მტკნარი წყლის მოსაპოვებლად. ეს ფაქტი, როგორც წიაღისეული სიმდიდრეებისადმი უდიერი დამოკიდებულების მაგალითი, მოიყვანეს თბილისში გამართულ თათბირ-სემინარზე, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის საკურორტო-აღდგენითი ზონების ბუნებრივი სამკურნალო რესურსებისა და ბიოსფეროს დაცვის საკითხებს. თათბირ-სემინარში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჯანმრთელობის დაცვის, ბუნების დაცვის, სტაყეო მეურნეობის ორგანოების ხელმძღვანელები, მეცნიერი-კურორტოლოგები, კურორტების კოლექტივების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენების ფაქტები მოიყვანა თავის გამოსვლაში სემინარის ბევრმა მონაწილემ. მაგალითად, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოს უფროსმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ნადარაიამ მოაგონა დამსწრეთ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ამბავი, რომელიც წლობით განიცდის სამკურნალო გოგირდის წყლის უკმარისობას. ილაპარაკა ჯავის, სიმონეთის, სხვა ზოგიერთი კურორტის მინერალური წყაროების ეკსპლოატაციაში დაშვებულ დარღვევებზე, გაიხსენა სამრეწველო საწარმოების მავნე ნარჩენებით მინერალური და სამელი წყლის, ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების შემთხვევები.

მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, პოეტმა ი. ნონეშვილმა გულის ტკივილით თქვა, კერძოდ, რომ „გამტკნარდა“ თბილისის განთქმული გოგირდის აბანოები, ჩონტაურის სტაყეო მეურნეობაში ძვირფასი ტყის გაჩეხვის შემთხვევები აცნობა სემინარს კურორტ ბახმაროს დირექტორმა ი. ცინცაძემ.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ე. კაპბამ, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ხატიაშვილმა, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კაჭარავამ და სხვებმა თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს კურორტების ბუნებრივი სამკურნალო რესურსებისა და ბიოსფეროს დაცვის შემდგომი გაუმჯობესებლობის ღონისძიებებს, რომლებიც ბოლო წლებში ხორციელდება რესპუბლიკაში.

რესპუბლიკაში მიმდინარეობს დიდი მუშაობა საკურორტო რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების, საკურორტო საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, აშენდა გამწმენდი ნაგებობანი კურორტებში ნაბეღლავში, შოვში, მენჯში, ცაიშში, ავადჰარაში, ნაწილობრივ გაზიფიცირებულია ჯანმრთელობის კერები ბორჯომში, მთლიანად — წყალტუბოში. შესრულდა ჰიდროტექნიკური ღონისძიებათა კომპლექსი მდინარე წყალტუბოს ძველ კალაპოტში. გაგრაში, ქობულეთში, სხვა კურორტებში კეთილმოწყო ძველი, გაშენდა ახალი ტყეპარკები და სკვერები.

ამის შესახებ ილაპარაკა სემინარზე საქართველოს კურორტების სამმართველოს საბჭოს თავმჯდომარემ რ. კაპანელმა. რესპუბლიკაში საკურორტო საქმის შემდგომი განვითარებისათვის, ხაზი გაუსვა მან, სახელმწიფო სულ უფრო მეტ სახსრებს გამოჰყოფს, და ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ საყოველთაო სახალხო კუთვნილება — რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერები უფრო ეფექტიანად ემსახურებოდეს ქვეყნის მშრომელებს.

(საქინფორმი).

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტებისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერების და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იღებენ ნაშრომებს 1981 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად.

ნაშრომების მიღება იწარმოებს 1980 წლის 15 დეკემბრამდე. მიიღება ნამუშევრები, რომლებიც გამოქვეყნდა (იგი) არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 ივნისისა, სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებული უნდა იყოს არა უგვიანეს 1979 წლის 15 დეკემბრისა.

ნაშრომების წამოყენებასა და გაფორმებასთან დაკავშირებით ყველა საკითხზე მიმართეთ:

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს—მისამართით: 125047, მოსკოვი დ-47, მესამე ტვერსკაია-იამსკაია, სახლი 46, ტელეფონები: 250-38-08, 250-19-47.

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი — მისამართით: 101414, გსპ-4, მოსკოვი კ-51, ნეგლინაიას ქუჩა, სახლი 15, ტელეფონები — 223-44-67, 223-19-30.

თითოეულის საქმე და მოვალეობა

ბოლო ორი წლის მანძილზე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს დამნაშავეობის წინააღმდეგ და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ეს აღნიშნეს ცხინვალში გამართული საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა. მათ განიხილეს ადმინისტრაციული ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის ამოცანები „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა მიხედვით.

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა თავის მოხსენებაში მოიყვანა ვითარების გაჯანსაღების მაგალითები. მაგალითად, შარშან მნიშვნელოვნად შემცირდა დანაშაულთა, მათ შორის განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა საერთო რიცხვი შარშანწინდელთან შედარებით. ვერც ერთ მკვლელობაში ან მკვლელობის მცდელობაში დამნაშავე ვერ გაექცა სასჯელს.

დამნაშავეობის შემცირების ტენდენცია წელსაც შენარჩუნებულია. სამოც დასახლებულ პუნქტში არც ერთი სამართალდარღვევა არ არის აღრიცხული. გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა სისხლის სამართლის დანაშაულობათა რიცხვი.

როგორც პლენუმის მონაწილეები აღნიშნავდნენ, ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ გაძლიერდა პარტიული ხელმძღვანელობა ადმინისტრაციული ორგანოებისადმი. ამ ორგანოებში მოვიდნენ პატიოსანი, ენერგიული და ინიციატივიანი ადამიანები, რომლებიც პარტიული და სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულების მაგალითებს გვიჩვენებენ.

უფრო ქმედითი გახდა საპროკურორო ზედამხედველობა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის და სოციალისტური კანონიერების მდგომარეობისადმი. უფრო ეფექტანი გახდა სასამართლო პრაქტიკაც.

მაგრამ იმისათვის, რომ უფრო სწრაფად მივაღწიოთ მიზანს — გადავაქციოთ სამხრეთ ოსეთი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის ოლქად, საჭიროა უფრო გაბედულად დავძლიოთ არსებული ნაკლოვანებანი, ავამაღლოთ მოქალაქეთა სოციალური აქტიურობა.

დღეევანდელი ამოცანაა დაკვირვებითა და მიზანდასახულად ჩამოვაყალიბოთ საზოგადოებრივი აზრი თითოეული ნეგატიური ფაქტის გარშემო, შევქმნათ საყოველთაო შეუწყნარებლობის ვითარება იმათ მიმართ, ვინც ხელყოფს კანონიერებას. აღინიშნა, რომ მთლიანად მართლწესრიგის მდგომარეობა ოლქში ჯერჯერობით ჩამორჩება დღევანდელ მოთხოვნებს. წმვავე პრობლემად რჩება სოციალისტური საკუთრების დაცვის პრობლემა, ლიკვიდირებული არ არის წამატებების, სახელმწიფოს მოტყუების, მექრთამეობის, სპეკულაციისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების ფაქტები. მაგალითად, ჯავის რაიონის წონის საბჭოთა მეურნეობაში, ლენინგორის რაიონის ზახორის საბჭოთა მეურნეობასა და ოლქის ზოგიერთ სხვა მეურნეობაში გამომჟღავნებულია სახელმწიფო სახსრების მითვისებისა და განიავების შემთხვევები.

აღინიშნა ის ნაკლოვანებები, რომლებიც გვხვდება პროკურატურასთან, მილიციასთან და სასამართლოსთან სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთმოქმედებაში. მკაცრად გაკრიტიკეს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შტაბების სუსტი მუშაობა, განსაკუთრებით ცხინვალში. საკმაოდ აქტიურად და პრინციპულად არ მოქმედებენ არასრულწლოვანთა საქმეების, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები.

პლენუმზე გამოსულებმა დასახეს ნაკლოვანებების თავიდან აცილების გზები.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ი. გვეტაძე.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა იმსჯელა დამნაშავეობის წინააღმდეგ და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის საკითხებზე.

საქმეს მზრუნველი ხელი დაეტყო

მართლწესრიგის დაცვის ორთვიური

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მშრომელთა წარმატებანი საყოველთაოდ არის ცნობილი. მათი სასახელო საქმეები მრავალჯერ აღინიშნა საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშებით. ასე იყო შარშანაც, როცა, როგორც ქალაქი, ისე რაიონი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდა. ამ დროშებს ინარჩუნებენ ზუგდიდელები და წლეულსაც თავდადებით იბრძვიან ხუთწლედის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. ცხადია, ყოველივე ეს აქაური მშრომელი ადამიანების დიდი გარჯისა და ღვაწლის შედეგია.

და რაოდენ დასანანია, რომ ამ ადამიანების გვერდით ჯერ კიდევ ბოგინობენ სპეკულანტები, წამგლეჯები, მძარცველები, უსაქმურები, მანქანების გამტაცებელები, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი. რა თქმა უნდა, ეს ყველას აღელვებს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად მშრომელთა ერთიანი, კომპლექსური ბრძოლა ამ გარეწრების წინააღმდეგ.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ კარგი საქმე წამოიწყო, როცა მიიღო დადგენილება მართლწესრიგის დაცვის ორთვიურის მოწყობის შესახებ. შეიქმნა ხელმძღვანელობის საქალაქო შტაბი პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის ა. ზოდელავას მეთაურობით. ქალაქი დაიყო უბნებად, ზონებად, სექტორებად. შემუშავდა შტაბისა და ცალკეული უბნების სამუშაო გეგმა.

ეს ღონისძიება ხალხმა მოიწონა და გულთან მიიტანა. საზოგადოებრივი წესრიგის გაჯანმტკიცებისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად დადგნენ კომუნისტები, კომკავშირელები, შრომისა და ბრძოლის ვეტერანები, სახალხო რაზმელები, ქალაქის მთელი აქტივი.

ბევრ სიახლესთან ერთად, რომლებიც ორთვიურის მიმდინარეობის დროს ინერგებოდა, აღსანიშნავია შრომის ნოვატორთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა მონაწილეობით საწარმო-დაწესებულებათა კლუბებში გამართული კრებები. აქ მართლწესრიგის დამრღვევებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს და სხვადასხვა ჯურის გარეწრებს თვითონ ხალხი კიცხავდა და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა. შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მიერ მოწყობილი მშრომელთა ასეთი შეკრება გაიმართა ჩაის საწნეხი ფაბრიკისა და საკოხერვო ქარხნის კლუბებში.

ერთ-ერთი ასეთი შეკრების და განსჯის საგანი იყო მსუბუქი ავტომობილის გატაცების ფაქტი. მისი ჩამდენი გახლდათ 28 წლის ზ. გაბისონია, ქურდობისათვის უკვე ორჯერ ნასამართლევი. გულისწყრომით დაგმეს აგრეთვე მრავალგზის ნასამართლევ და უსაქმურ შ. კაკაჩიას საქციელი. საზოგადოებრივი გაკიცხვის შემდეგ მათი საქმე სახალხო სასამართლოს გადასცეს.

სამწუხაროდ, ასეთ ადამიანთა გვერდით ხშირად ჯან-ღონით აღსავსე უსაქმურ ახალგაზრდებსაც შეხვდებით, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ხეტიალს უნდებიან და უშინაარსო ცხოვრებას ეწევიან. მათ გვარებს განგებ არ ვასახელებთ, რადგან ისინი შეკრების მონაწილეებს შეჰპირდნენ, რომ სასარგებლო შრომაში ჩაებმებიან.

კარგი ნაყოფი გამოიღო ლექციებმა, მოხსენებებმა, თეორიულმა კონფერენციებმა, კითხვა-პასუხის საღამოებმა. ქალაქის პროკურორი დ. კუხალეიშვილი, პროკურორის მოადგილე ნ. არნანია, შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი ა. ბესელია, ქალაქის სახალხო მოსამართლეები კ. კვირკველია, ჯ. მორგოშია და სხვები ხშირად უკითხავენ მოსახლეობას ლექციებს საინტერესო საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა გ. ეხვაიამ ქალაქის ფართო აქტივისათვის წაიკითხა ლექცია თემაზე — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის აგვისტოს დადგენილების მიხედვით საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისა და მართლწესრიგის დაცვის საქმეში საზოგადოებრიობის როლისა და ამოცანების შესახებ“; კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ნ. მალაშხიას ლექციის თემა იყო „ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები“.

საქალაქო და რაიონული გაზეთი „მეგობრული“ (რედაქტორი — ი. ქორთუა) სისტემატურად აქვეყნებს მასალებს საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებზე. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ავტოინსპექციის ყოველდღეკადური სატირული გაზეთი „ფანჯარა“, სადაც სააქაროდ ... ოსი), გ. ნანეიშვილი (განყოფილების უფროსი).

როცა ამ ამხანაგებს სამართალდარღვევის აღკვეთისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, პროფილაქტიკური მუშაობის პრობლემებზე ვესაუბრებოდით, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჯერ ერთი, დანაშაულნი მეტწილად უკვე ნასამართლევი ნაძირალა და უსაქმური ადამიანები არიან, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, თავს არიდებენ შრომითს კოლექტივებს, სადაც „აკეთ თავის მოწოდებას პოულობს; მეორე, მილიციის ორგანოებს კონკრეტული, ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივი საბჭოების სამეთვალყურეო კომისიებმა, შრომითი კოლექტივების პროფილაქტიკის საბჭოებმა, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივმა პუნქტებმა, რაზმელებმა და სხვა საზოგადოებრივმა რგოლებმა.

სწორედ ამას გულისხმობს ოპერატიული მოქმედების გეგმა. ერთი სიტყვით, მთელი ფრონტით უნდა გადავიდეთ შეტევაზე, რადგან ჩვენში ჯერ კიდევ არიან იოლი ცხოვრების მოტრფიალენი, რომლებიც ქურდობენ, პარაზიტობენ, ხელყოფენ მოქალაქეთა პირად ქონებას, ითვისებენ სახალხო დოვლათს. სადღეისოდ ჟღერს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში“ გამართული საარჩევნო კრების მიწოდება:

„კიდევ უფრო მტკიცედ შეკუეთოთ ყველამ, მთელმა საზოგადოებამ ანტიპოდურ მოვლენებს, ყველაფერს, რაც ხელს გვიშლის ჩვენს სასიკეთო პატიოსან შრომაში. საბჭოთა დემოკრატია არ არსებობს უმაღლესი სოციალისტური წესრიგის გარეშე. წესრიგი დემოკრატიის გარანტიაა, დემოკრატია — წესრიგის გარანტია“.

ს. ყურაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

„ კომუნისტს“ უპასუხებს

პარტიის ცხაკაიას რაიკომი

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის თავის ამოიდებლებს ეხებოდა ჩვენი გაზეთის სპეციალურ გასაფიფლებაში „წესი, რიგი და ჩვენ“ გამოქვეყნებული „კრიტიკული წერილი „უსაქმურობას დანაშაული მოსდევს“. ამის გამო პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი ვ. ესვანჯია გვწერს:

წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა.

პარტიის რაიონული კომიტეტი და რაიონული საბჭოს აღმასკომი ახორციელებენ ღონისძიებებს ახალგაზრდობის საქმიანობისადმი კონტროლის გასაძლიერებლად. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მხრივ დღემდე გაწეული მუშაობა საკმარისი არ არის.

ამას წინათ რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულმა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ სპეციალურად იმსჯელა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილის შესახებ და დასახა ახალგაზრდობასთან მუშაობის რადიკალურად გარდაქმნის საჭირო ღონისძიებანი. საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და სკოლებში საგრძნობლად გაძლიერდა ახალგაზრდობასთან მუშაობა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა (აქაური მოსწავლეები შემჩნეული იყვნენ რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე ხეტიალში) საგანგებო აღრიცხვაზე აიყვანა 15-მდე მოსწავლე, რომლებიც ნაკლებად ემორჩილებიან სასწავლებლის შინაგანაწესს, კონტაქტები დაამყარა მათს მშობლებთან. ასევე მოიქცნენ № 66 პროფტექნიკური სასწავლებლის, სკოლა-ინტერნატის, ზემო ჭალადიდის, ეკის, ცხაკაიას მეხუთე საშუალო სკოლების დირექციები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

წერილი „უსაქმურობას დანაშაული მოსდევს“ განხილულია რაიონის სკოლების ყველა ჯგუფის მოსწავლეთა საერთო კრებებზე მშობლებთა თანდასწრებით. ამ საკითხზე იმსჯელეს სკოლების კომკავშირულმა ორგანიზაციებმაც.

შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა რკინიგზის და ავტოსადგურის ტერიტორიებზე. წერილი განხილა აგრეთვე შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების პირადი შემადგენლობის გაფართოებულმა თათბირმა.

სასამართლო დარბაზიდან

ხელი მოეცარათ

თელავის სანეპიდსადგურის მძღოლმა ვალერი ძამუკაშვილმა მოძრაობის წესები დაარღვია და მანქანა დაეზიანა. თუმცა მან თავისი მანქანა კი არა, სხვისი დაეზიანა, მაგრამ იგი თავის ხარჯზე უნდა აღედგინა.

მდგომარეობიდან გამოსავალი „მეგობრებმა“ — გენადი კოსარევსკიმ — თელავის რაიონული საავადმყოფოს გარეუის მონტიორმა და ამავე საავადმყოფოს მძღოლმა ანზორ ნინიკელაშვილმა უკარნახეს (სამივე 25-25 წლისაა). მათ სხვისი ავტომანქანა მოიტაცეს, ტყეში ნაწილობად დაშალეს, ძარას კი ცეცხლი წაუკიდეს. რაკი მოვალეს გაუსწორდა, ვ. ძამუკაშვილი ფიქრობდა, მარტო დამსხვრეული მანქანა კი არა, „პატიოსანი სახელიც“ აღვიდგინეო.

მაგრამ ეს მისი დაცემის დასაწყისი იყო. ავტომანქანის მოტაცება „მეგობრებისათვის“ დაუსჯელი დარჩა, და მათაც გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ ყოველთვის ასე იქნებოდა. დანაშაულებრივ საქმიანობას ისინი მარტო საქართველოს რაიონებში კი არა, მის ფარგლებს გარეთაც ეწეოდნენ, იტაცებდნენ მანქანებს, ყაჩაღურად ესხმოდნენ თავს მძღოლებს.

მაგრამ ბანდის თარეშს ბოლოს და ბოლოს აღსასრული დაუდგა. თბილისის ვაგზლის მოედანზე ისინი რ. ი-ს მანქანაში ჩაუსხდნენ. ქალაქგარეთ რომ გავიდნენ, მძღოლი გაძარცვეს, თვითონ კი შემხვედრი მანქანით თელავში დაბრუნდნენ. აქ ისინი დააკავა თელავის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკთა ოპერატიულმა ჯგუფმა.

თელავის რაიონის სახალხო სასამართლომ გენადი კოსარევსკისა და ვალერი ძამუკაშვილს 11 წლის პატიმრობა მიუსაჯა, ანზორ ნინიკელაშვილს — 10 წლის პატიმრობა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში სასჯელის მოხდით.

(საქინფორმი).

უსაქმურობიდან—დანაშაულამდე

ულირსნი

საზოგადოებასთან ერთობლივი მოქმედებით

ამ წერილის ვაი-გმირები საქურდლად დადიოდნენ და ამტომაც გაუხდათ საქმე სატირლად. ისინი ათნი იყვნენ.

შეიკრიბა ეს ათი თავზეხელაღებული და ქურდობის გეგმები შეიმუშავა—ვის, სად, როდის დასხმოდნენ თავს, ვისი ოჯახები აეწიოკებინათ, ვისი პირადი საკუთრება ხელეყოთ. ასე გამოიკვეთა ქურდების დანაშაულებრივი ჯგუფი რ. იობიძის, ი. გეგენავას, კ. ტარაკანოვის, თ. სტურუას, გ. ჩიქოვახის, თ. ცაავას, ვ. სალიას, გ. სორდიას და რ. ქაჯაიას შეადგენლობით, რომელთა დანაშაულს ფარავდა გ. ბელქანია. ისინი ერთად სჩადიოდნენ ბოროტმოქმედებებს, მაგრამ ეს შეუჩნეველი რჩებოდათ სკოლებსაც, სადაც ისინი სწავლობდნენ, მეზობლებსაც, რომელთა გვერდით ისინი ცხოვრობდნენ და მშობლებსაც, რომელთა ჭერქვეშ იყვნენ.

და აი ამ მრუდე გზებმა ისინი საპატიმრომდე მიიყვანა. მაინც როგორ მოხდა ეს?

მოზრდილი რუკის ოდენაა ოპერატიული მოქმედების გეგმა, რომელზეც აღნიშნულია იმათი გვარები, ვინც მხილებულია ქურდობაში, ძარცვასა და ყაჩაღობაში. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი გამომძიებელი ვახტანგ ჭანტურია დასცქერის ამ გეგმას და თან გვიამბობს მოლაპარაკული გზით მოსაარულეთა ავკაცობაზე, რომლის მიზეზი მუქთახორობა, უსაქმურობა და საზოგადოებისაგან განდგომაა.

1978 წლის 30 ნოემბერს წყალტუბოს სახალხო სასამართლომ რ. იობიძეს ძარცვა-ყაჩაღობისათვის 9 წლის პატიმრობა მიუსაჯა. ეს ბოროტმოქმედი თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან ოთხთვიანი ნახევრის შემდეგ — 1979 წლის 14 აპრილს გადაქცა. როგორ ფიქრობთ, რ. იობიძემ უბრალოდ მიმალვა სცადა? არა! იგი უმალ დაადგა ძარცვის გზას. იმავე წლის 9 მაისს ყაჩაღურად დაესხა თავს „ვარცხიჰესის“ სამშენებლო სამმართველოს მუშაკის შ. ქართველიშვილის ოჯახს. მას თან ახლდნენ რ. იობიძესავით თავზეხელაღებული ი. გეგენავა, კ. ტარაკანოვი, თ. სტურუა. ამ არამზადებმა მიზანში ამოიღეს მშრომელი ადამიანის ოჯახი, გაიტაცეს 2.785 მანეთი, ოქროულობა. მალე თავდამსხმელთაგან სამნი დააკავეს, რ. იობიძემ კი მოასწრო მიმალვა, მაგრამ ისიც დაიკავეს.

გ. ჩიქოვანმა 1979 წლის 10 მაისს ზუგდიდში გაქურდა ვ. ჩიტაიას ბინა, 16 მაისს — ი. ბერიშვილის ბინა, შემდეგ ე. მალიკეთას ოჯახი, 20 აგვისტოს სოფელ ხაბუმეში (ჩხოროწყუ) — ე. ცირამუასა და ი. შენგელიას ბინები, მანვე მოქალაქე ო. კოხენარიას ოჯახიდან გაიტაცა ოცნაირი ტანსაცმელი. აქ ჩამოთვლილი ქურდობის დროს გ. ჩიქოვანმა სულ ფულად გაიტაცა 8.092 მანეთი, 4000 მანეთზე მეტი ღირებულების 3-პროცენტიანი ობლიგაციები, ოქროულობა, ბრილის ჭურჭელი, ძვირფასი ტანსაცმელი. ამ ყაჩაღურ თავდასხმებსა და ქურდობაში მას მხარში ედგნენ თ. ცაავა, გ. სორდია, რ. ქაჯაია, ვ. სალია, კოლექტიური ქურდობის მსხვერპლნი გახდნენ აგრეთვე ტ. შენგელიას (ჩხოროწყუ), თ. აშორდიას, ლ. ლაგვილავას, ხ. ოჟანავას (ზუგდიდი) ოჯახები.

ეს ავაზაკები, რომლებმაც თავიანთი შავბნელი მოქმედების ადგილი დატოვეს ქუთაისში, ქ. ზუგდიდსა და მის რაიონში, გალში, ჩხოროწყუში, 1954-1959 წლებში არიან დაბადებული, დამთავრებული აქვთ ცხრა კლასი ან საშუალო სასწავლებელი, და საშუალებრივ, არსად არ მუშაობდნენ, კისერზე ასხდნენ მშობლებსა და საზოგადოებას, რომელთა უყურადღებობამ ისინი ქურდობამდე მიიყვანა.

საგულისხმოა ისიც, რომ ამ გზასაცდენილ ახალგაზრდებს „საიმედოდ“ ამოუდგა მხარში მათი დანაშაულის მფარველი, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის მცხოვრები გ. ბელქანია. ეს 43 წლის კაცი, ოჯახის პატრონი, პროფესიით ხაბაზი, როგორც დამნაშავეთა ძფარველი აქტიურად მოქმედებდა თ. ცაავასთან, გ. ჩიქოვანთან და რ. იობიძესთან ერთად. (რ. იობიძემ ძებნის პერიოდშიც ვ. სალიასთან ერთად რამდენიმე ადგილას ჩაიდინა ქურდობა).

თითქმის ხუთ თვეს გრძელდებოდა ქურდების შემაშფოთებელი თარეში. და აი, როგორც იტყვიან, კოკა მაინც წყალზე გატყდა.

1979 წლის 25 სექტემბერს ეს გაყაჩაღებული ახალგაზრდები ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში თავს დაესხნენ მაგლო კემულარიას ოჯახს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით გაიტაცეს 430 მანეთი, ოქროულობა და 3.000 მანეთის სამ-ცროცენტიანი ობლიგაციები. დიასახლისმა განაგაში ატეხა, ყაჩაღებმა ტყეს შეაფარეს თავი, მაგრამ ქურდებს დაედევნენ ახალხიბულელები. ესენი იყვნენ ომარ, ჯუმბერ, ზაურ, ვლადიმერ გოგიები, შოთა,

ოლიმპიური სიმბოლიკით

თბილისის კერამიკული კომბინატი წარმატებით იბრძვის ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმის გადამეტებით აქ 4 ათასამდე ფაიფურის ნაწარმი და 4 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი მოსაპირკეთებელი ფილები დაამზადეს. პროდუქციის დიდ ნაწილს კერამიკოსები ახლა ოლიმპიური სიმბოლიკით ამზადებენ. კომბინატში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სამხატვრო-საჩამომსხმელო საამქროს კოლექტივი.

სურათებზე: ჩამომსხმელი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი გ. ხუციშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 130-140 პროცენტით ასრულებს; კომბინატის კოლექტივის ნახელავი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ეშრავლოს!...

ვაგრძელებთ საუბარს რუბრიკით „ოლიმპიადა-80“-ის მოლოდინში“. ამჯერად კიდევ რამდენიმე სახეობის სპორტის წარმომადგენლებზე — მოცურავეებზე, აფროსნებზე, ნიჩბოსნებზე (აკადემიური, გაიდარა და კანოე), წყალმხტომელებზე და წყალბურთელებზე მოგითხრობთ.

ცურვა. საქართველოდან ოლიმპიადებში იასპარეზ ხუთმა სპორტსმენმა: ბ. ნიკიტინმა, ა. ტუტაკაევმა, თ. ლეკვეიშვილმა, ი. კუშპელოვმა და ი. ომელჩენკომ. **ბ. ნიკიტინმა** ძალები სცადა მელბურნში (1956 წელი) და რომში (1960). მან მელბურნის ოლიმპიადაში თავისუფალი სტილით 4X200 მეტრზე, ესტაფეტაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა (8.34,7), ხოლო 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მეთექვსმეტე შედეგი ჰქონდა (4. 42,8). რომში მან იგივე ესტაფეტაში მერვე ადგილი დაიკავა (8. 32,2). ტოკიოში (1964) **ა. ტუტაკაევი** 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაზე IV ადგილზე გავიდა (4. 04,2). **თინათინ ლეკვეიშვილმა** მეხიკოში (1968) და მიუნხენში (1972) იასპარეზა. იგი ორივე ოლიმპიადაში მეოთხე ადგილებზე იყო 4X100 მეტრზე კომბინირებულ ცურვაში (4. 37,0 და 4. 27,81). მან იასპარეზა აგრეთვე 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში. ამ დისციპლინებში მას ჩასათვლელი ქულები არ მოუმატა. მონრეალში (1976) **ი. ომელჩენკომ** 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში V ადგილი დაიკავა (3.49.90). **ი. კუშპელოვმა** 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სცადა ძალები, მაგრამ ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღო. იგი X ადგილზე გავიდა.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში (1956, 1959, 1963, 1967, 1971, 1975 და 1979 წლებში) საქართველოს მოცურავეთა ნაკრებმა გუნდებმა შესაბამისად V, V, V, V, VI, VII და XI ადგილები დაიკავეს.

როგორც ხედავთ, ამ სახეობის სპორტში წინა სპარტაკიადებთან შედარებით პოზიციები მნიშვნელოვნად დავთმეთ. ჩვენ ჯერ კიდევ ვერა და ვერ გადავაქციეთ ცურვა მასობრივ სპორტად. ცხადია, მასობრივობის გარეშე ხელშესახები წარმატების მოპოვება ერთობ ძნელია. შექმნილი მდგომარეობის მიზეზი ალბათ აუზების სიმცირეშიც, სპორტსმენთა წვრთნაში, თვითონ მწვრთნელთა კვალიფიკაციაშიც და ამ საქმის ორგანიზაციაშიც უნდა ვეძიოთ. ახლა საცურაო აუზები ძირითადად თბილისშია თავმოყრილი (თუმცა, მათი რაოდენობა თბილისსაც არ აკმაყოფილებს), ხოლო რესპუბლიკის რაიონებში ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს ჯასაკეთებელი.

აუზი რესპუბლიკის ყველა კუთხეში უნდა გვქონდეს, ცურვა ყველამ უნდა იცოდეს და ეს ყველა უნდა ასაზრდოებდეს დიდ სპორტს. თუ ეს არა, ჩემპიონებსა და მაღალი კლასის სპორტსმენებს ვერ აღზრდიდა. ეს საკითხის ერთი მხარეა. მაგრამ ისმის კითხვა, რაც გვაქვს, იმას თუ ვიყენებთ სრულად, ემუშაობთ თუ არა ისე, როგორც ეს მოგვეთხოვება? სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ავაწყვეთ საქმე ისე, რომ ხელშესახები წარმატებები მოვიმკათ. და მაინც, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მტკვრის სანაპიროსთან მწყობრში ჩამდგარი წყალჯომარდობის შესანიშნავ კომპლექსში მოვარჯიშეთაგან ისეთ ოსტატებს დავზრდიდთ, რომლებიც ამ სახეობის სპორტში შექმნილ ვაკუუმს ერთგვარად შეავსებენ. ამ წერილის მიზანი ის როდია, რომ მოცემული სახეობის სპორტის განვითარების ყველა მომენტი დაწვრილებით განვიხილოთ, ეს უფრო გლობალური საკითხია, მთელი კომპლექსია და მათში ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული ყველაზე პირველად ამა თუ იმ სახეობის სპორტის სპეციალისტების საქმეა — იმათიც, ვინც თავის საქმეს მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება და იმათიც, ვინც ოღი ბზით ცდილობს ფონს გასვლას. ჩვენი კრიტიკული შენიშვნები ძხოლოდ და მხოლოდ კეთილმოსურნეობას ეფუძნება და მათი ძირითადი მიზანია კიდევ ერთხელ შეხსენება იმისა, რომ ჩვენ მეტი სიყვარული და თავდადება უნდა გამოვიჩინოთ დაკისრებული საქმისადმი.

ახლა კი იმაზე, რაც გვახარებს, ვინც იმედს გვისახავს იმაში, რომ ჩვენს რესპუბლიკას მოსკოვის ოლიმპიადაში თავისი წარმომადგენელი ეყოლება. მკითხველი უთუოდ მიხვდა, რომ ლაპარაკია თბილისელ ირინე გერასიმოვაზე, რომელმაც სულ ახლახან კიევში გამართულ ოლიმპიადისწინა შერჩევითს ტურნირში ზედიზედ საქართველოს ორი რეკორდი დაამყარა და თითქმის გაინადგა ოლიმპიადის საგზური. ეს უკვე დიდი შრომისა და ჯაფის შედეგია აფსაზრდელისა და აღმზრდელისაც. ცხადია, მხარი მათ უნდა ვუსწოროთ, მათი მაგალითი უნდა აღაფრთოვანებდეს მოცურავეებსაც და მათს დამრიგებლებსაც.

აფროსნობა, აკადემიური ნიჩბოსნობა, გაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა. ამ სახეობათაგან საქართველოდან მხოლოდ გაიდარებით ნიჩბოსნობაში გვყავდა ოლიმპიელები. ესენი არიან ვ. კრატასიუკი და გ. ნასყიდაშვილი. ორივემ მიუნხენში (1972) იასპარეზა. **ვ. კრატასიუკმა** ნ. გორბაჩოვთან ერთად ორადგილიანი გაიდარით 1000 მეტრზე შეჯიბრებაში ოქროს მედალი დაიმსახურა (3.37,23), ნასყიდაშვილმა კი ერთადგილიანი გაიდარით წყლის სლალომში 31-ე ადგილი დაიკავა.

აფროსნობა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში პირველად 1967 წელს შეიტანეს. 1967 წელს საქართველოს ნაკრებმა IX ადგილი დაიკავა, 1971 წელს — VIII, 1975 წელს — IX და 1979 წელს — კვლავ IX ადგილი; **აკადემიურ ნიჩბოსნობაში** ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს ნაკრები გუნდების შედეგები ასეთია: 1956 წელს — ერთი ქულაც ვერ მოვიპოვეთ, 1959 წელს — VIII ადგილი, 1963 წელს — XIV, 1967 წელს — IX, 1971 წელს — XII და ბოლოს, 1979 წელს — X ადგილი. **გაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში** კი ასეთი შედეგები გვქონდა: 1956 წელს — V, 1959 წელს — VI, 1963 წელს — VI, 1967 წელს — VI, 1971 წელს — III, 1975 წელს — XI და 1979 წელს — XIII ადგილი.

ზემოთ მოყვანილი სასპორტაკიადო შედეგები არცთუ ისე სახარბიელოა, მაგრამ რაკი უკან დასახევი გზა არა გვაქვს, ცხადია, ამ სახეობათა სპორტში აღმავლობისთვისაც უნდა ვიზრუნოთ. თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ წინსვლის გარკვეული ტენდენცია ეგრძნობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. უკანასკნელ სპარტაკიადაში დაკავებული X ადგილი, ერთი შეხედვით, თითქოს მოკრძალებულია, მაგრამ ყინული რომ დაიმტვრა, ესეც ცხადია. წინა სპარტაკიადასთან შედარებით ჩვენმა ნიჩბოსნებმა ორი ადგილით წინ წაიწიეს და, რაც მთავარია, 9 ეკიპაჟმა (მათგან 4 ფინალში შევიდა) საქართველოს სპორტულ დელეგაციას 171 ჩასათვლელი ქულა შესძინა. ერთგვარი წინსვლა გვაქვს აფროსნობაშიც. უფრო მეტიც, ამ სახეობაში თბილისელი გ. ბიგანიშვილის სახით საუცხო ოსტატი მოგვევლინა და დიდი იმედი ჩაგვისახა, რომ ჩვენთვის ისეთ არატრადიციულ სახეობაში, როგორიც აფროსნობაა, ოლიმპიელი გვეყოლება. ბიგანიშვილი საქვეყნოდ ცნობილი იახტსმენთან ტალინელ მანკინთან ერთად ემზადება „ვარსკვლავის“ კლასში სასპარეზოდ. იგი მებაგირეა, მანკინი კი მესაჭე. ბიგანიშვილს ოლიმპიადის საგზურს მანკინის ძველი მებაგირე ა. მუზიჩენკო იცილება. ვნახოთ, ვინ იმარჯვებს, ჩვენი მხრივ კი ბიგანიშვილს წარმატება ვუსურვოთ ქართული საბჭოთა სპორტის სადიდებლად.

წყალხტომა. საქართველოდან აქამდე ოლიმპიადაში მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა — **ბორის პოლულიახმა** იასპარეზა. იგი ტოკიოში (1964) ტრამპლინიდან ხტომაში მექვსე იყო, ხოლო მეხიკოში (1968) — მეოცე.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს წყალმხტომელთა ნაკრები გუნდების მიერ დაკავებული ადგილები შესაბამისად ასეთია: V, V, VIII, IV, IX, IX და VI. როგორც ხედავთ, ამ სახეობის სპორტში წინსვლის ტენდენციამ საგრძნობლად იჩინა თავი. **ლიანა ცოტაძე და სერგი შალბაშვილი** ის პირველი მერცხლები არიან, რომლებმაც დიდი გუნდი უნდა შეიკრან, სხვანაირად არც შეიძლება, და თანაც ამის საფუძველი არსებობს. მათთან ერთად ახლა კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა მნიშვნელოვნად ხვეწს ოსტატობას და თუ ამ მხრივ გულდადგულ ვიმუშავებთ წყლისაკენ ოსტატურ კამარას კიდევ ახალი ცოტაძეები და შალიბაშვილები შეკრავენ.

სულ ახლახანს თბილისში ლიანა ცოტაძემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდებაც მიუმატა წარსულ სპარტაკიადაში გამარჯვებულის სახელს და ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა შორის განმტკიცება ადგილი. ეტყობა შორს არ არის ის დროც, როცა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, საქართველოში წყალხტომა დიდებულად არის განვითარებულიო.

წყალბურთი. საქართველოდან, აგრეთვე მოსკოვიდან ქართველ წყალბურთელებს არაერთხელ უსასპარეზოთ ოლიმპიადებში. საქართველოს სპორტული ორგანიზაციიდან სხვადასხვა დროს ოლიმპიადებში მიგზავნებული იყვნენ **ნ. გვახარია** (მელბურნში — III ადგილი), **ლ. გოგოლაძე** (რომში — II), **გ. ჩიქვანაია** (რომში — II, მანვე მოსკოვის სპორტული ორგანიზაციის სახელით ტოკიოში იასპარეზა—II), **ვ. ახალიძე** (მონრეალში — VIII). ოლიმპიადებში იასპარეზეს აგრეთვე მოსკოველმა ქართველმა სპორტსმენებმა მამა-შვილმა **პ. მშვენიერაძემ** და **ნ. მშვენიერაძემ** (პირველმა — ჰელსინკში, მელბურნში და რომში. შესაბამისად VII, III და II ადგილები; მეორემ — მონრეალში — VIII ადგილი).

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა გუნდებმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში შესაბამისად ასეთი ადგილები დაიკავეს: II, III, II, III, VI, V და II. ჩვენმა წყალბურთელებმა ბოლო სპარტაკიადაში არა მარტო იმით გამოიჩინეს თავი, რომ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს და მეექვსე სპარტაკიადასთან შედარებით სამი ადგილით დაწინაურდნენ, არამედ იმითაც, რომ მათს თამაშში იგრძნობოდა საკმაოდ მაღალი კლასის გუნდის ხელწერა. ეს უკვე ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ თვით თამაშის ხარისხი საგრძნობლად ამაღლდა, გუნდმა შეიძინა შესანიშნავი თვისებები თავდაუზოგავი და უშეღავათო ბრძოლისა, აირჩია ბრძოლის სწორი სტრატეგია და ტაქტიკა და, ცხადია, დასახულ მიზანსაც მიაღწია. ჩვენმა წყალბურთელებმა წარმატებისადმი ლტოლვის დაუცხრომელი მისწრაფებით ერთხელ კიდევ შეგვახსენეს რომ დინამიკა უპირველესად მოძრაობაა, წინსვლაა და, ალბათ, მოზღვავებული შინაგანი ენერგიის სწორი გამოყენების უნარიც. სპარტაკიადაზე წარმატება გარანტირებული ჰქონდა იმ გუნდს, იმ კოლექტივს, რომელსაც ზემოთ ხსენებულ თვისებებთან ერთად ჰქონდა დისციპლინის გრძნობა, მტკიცედ იცავდა დადგენილ წესს, სავალდებულო იყო კოლექტივის თითოეული წევრისათვის და ყველა ერთად იბრძოდა ამ წესის შეუვალობისთვის. სწორედ ეს თვისებები გამოავლინეს საქართველოს სპორტსმენებმა და აკი იმარჯვეს კიდეც. რაც შეეხება მოსკოვის ოლიმპიადას, იქ ქართველ წყალბურთელთა დელეგატი, ალბათ, ნაკადი სპორტსმენი ვლადიმერ ისელიძე იქნება. რაც შეეხება ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდებს, მათგან მომავალში მეტს უნდა ველოდეთ, რადგან, თუ დღეს წინსვლის ამოძანძნელი სისწრაფე, მოპოვებულ მიჩვენებელთა ხარისხი დამაკმაყოფილებელია. შეიძლება წინათ მიღწეული სამეგობროსა საკმარისიც არ აღმოჩნდეს.

დღეს ჩვენ ვისაუბრეთ ექვსი ოლიმპიური სახეობის სპორტის წარმომადგენლებზე, რომელთაგან ოთხმა სპორტსმენმა წარსულ ოლიმპიადებში იასპარეზა; მათგან ნიჩბოსანმა ვ. კრატასიუკმა ოქროს მედალი მიიღო. წყალბურთელებმა ლ. გოგოლაძემ და გ. ჩიქვანაიამ — ვერცხლისა, ხოლო ნ. გვახარიამ — ბრინჯაოსი. დაე, ემრავლოს ასეთი ჯილდოს მოსკოვის ოლიმპიადაში.

ჯ. ენუქიძე.

სურათზე: მოსკოვის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკები.

ბ. ხუხლაევის ფოტო (საქდესის ფოტოქრონიკა).

სიტყვა — სპეციალისტს

— როგორ ვემზადებით ოლიმპიადისათვის, რას ვფიქრობთ სამერმისოდ? „კომუნისტის“ კორესპონდენტის ამ კითხვაზე დღეს გვიპასუხებს:

გივი ცქიტიშვილი,

საქართველოს სპორტკომიტეტის წყალსაჯომარდო და გამოყენებითს სახეობათა სპორტის სამმართველოს უფროსი.

— სასაუბრო ბევრია, ვინაიდან ჩვენი დღევანდელი თემაა ცურვა, წყალხტომა, წყალბურთი, აფროსნობა, აკადემიური ხიჩბოსხობა, გაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა. ამ სახეობათაგან მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობის საგზურები წყალმხტომელ ლიანა ცოტაძეს და მოცურავე ირინე გერასიმოვას განაღდებული აქვთ. გვყავს ოლიმპიური ნაკრების სხვა კანდიდატებიც — წყალბურთელი ვლადიმერ ისელიძე და აფროსანი გურამ ბიგანიშვილი. ამ ორ უკანასკნელს ოლიმპიელთა საგზურები ჯერ საბოლოოდ მოპოვებული არა აქვთ და ახლა გადაჭრით რაიმეს თქმა გვიჭირს.

ცურვაში ჩვენ რომ არ ვბრწყინავთ, ყველამ იცის, მაგრამ ამ სახეობის სპორტის აღმავლობისათვის მუშაობა რესპუბლიკაში უკვე გაჩაღდა და, იმედია, სსრ კავშირის ხალხთა მორიგ სპარტაკიადაში უკეთ ვისასპარეზებთ. ჩვენი ამოცანაა, რომ მომავალ სპარტაკიადაში საქართველოს მოცურავეთა ნაკრებმა 8 საუკეთესოს შორის დაიკავოს ადგილი. ახლა ჩვენს ნაკრებს ხელმძღვანელობს მოსკოვიდან მოწვეული სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ედუარდ ზაიცევი. მასზე ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ. საკმარისია ითქვას, რომ მან თავის დროზე 44 სპორტის ოსტატი მოამზადა.

მოცურავეთა პირველი ნაკრების პარალელურად კომპლექტდება მეორე ნაკრებიც, რომელშიც მოზარდები იქნებიან. თავდაპირველად 120 ნიჭიერი ბავშვის შერჩევას ვაპირებთ, მათგან კი 60 საუკეთესოს შევარჩევთ და სექტემბრიდან მეორე ნაკრებიც ინტენსიურ წვრთნას შეუდგება. უმჯობესდება წვრთნის მეთოდები, თანდათანობით და გეგმაზომიერად იზრდება დატვირთვები. ჩვენი მიზანია, მომავალ სასპარტაკიადო ციკლში ისე წარემართოთ მუშაობა, რომ ცურვაში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აღმოვფხვრათ და მოწინავეთა რიგებში ჩადგომისთვის ვიბრძოლოთ.

რაც შეეხება წყალხტომას, ამ სახეობის სპორტი ჩვეულებრივ აღმავლობის გზაზეა. წლევანდელი სეზონი კარგად დავიწყეთ: ლიანა ცოტაძემ და სერგი შალბაშვილმა კოშკურიდან მხტომელებს შორის ორი საერთაშორისო ტურნირი — ესპანეთისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოიგეს. მოგეხსენებათ, ცოტაძემ საკავშირო ჩემპიონატშიც ტოლი არავის დაუდო, შალიბაშვილმა კი მზარდი ოსტატობა გვიჩვენა. გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდობაც და ვეცდებით მოპოვებული პოზიციები არ დავკარგოთ.

წყალბურთელებმა განვლილ სპარტაკიადაში თავი ისახელეს, არც წლევანდელ ჩემპიონატში ასპარეზობენ ურიგოდ, თასის საკავშირო გათამაშების ნახევარფინალშიც გავიდნენ. გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდობა. მიხეილ გიორგაძე, გელა ტუკაძე, დეკი გვახარია და თამაზ კუტივაძე სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან. ახლახან საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა საკავშირო ჩემპიონატში III ადგილი დაიკავა. ეს კი შარშანდელ VIII ადგილთან შედარებით დიდი წინსვლაა.

აფროსნობის საყრდენი ბაზები გვაქვს ბათუმში, სოხუმში, ფოთსა და თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახეობაში ჯერჯერობით მხოლოდ ბიგანიშვილით ვიწონებთ თავს, ეცდლობთ ყველა კლასის ნავებით რაც შეიძლება წინ წავიწიოთ.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში, აგრეთვე ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობაშიც წარმატებები რომ მოვიპოვოთ, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. სპარტაკიადაზე თუ აკადემიურ ნიჩბოსნობაში გარკვეული წინსვლა გვქონდა, ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში კი საშუალოზე დაბალი შედეგებთ ვიასპარეზეთ. აკადემიურ ნიჩბოსნობაში ამჟამად ძლიერი ოსტატი გვყავს — ოლია მიზგარიოვა, რომელმაც ახლახან სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ოთხადგილიანი ნავებით საერთაშორისო ტურნირში პირველობა მოიპოვა.

წყალსაჯომარდო სახეობათა სპორტის წარმომადგენელთა უახლოესი ამოცანაა კარგად იასპარეზონ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში და ახალგაზრდულ თამაშებში. ეს ის საშუალდო გზაა, რომლის შემდეგაც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილე საქართველოს ნაკრები კოლექტივები ნაწრთობი ოსტატებით უნდა შევავსოთ. ამიტომ ჩვენი მუშაობის მთავარი აქცენტი სწორედ ამისკენ გვაქვს მიმართული.

კარგად გვაქვს შეგნებული ისიც, რომ ჩვეულებრივ მეტს, უფრო ხელშესახებ წარმატებებს მოითხოვენ და ძალას არ დავზოგავთ დასახული ამოცანების შესრულებისათვის.



ჩემპიონთა გალერეა

ამჯერად ოლიმპიური ჩემპიონთა გალერეის ერთადერთი სტუმარია **ვიქტორ კრატასიუკი.** იგი დაიბადა 1949 წლის 30 იანვარს; 1972 წლიდან სპორტის დამსახურებული ოსტატია; 1972 წელს გაიდარებით ნიჩბოსნობაში (ორადგილიანით ნ. გორბაჩოვთან ერთად) მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. 1972 წელს დაჯილდოვეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სურათზე: ვ. კრატასიუკი.

— — — ყაბალი

სამი ფრე

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეთორმეტე ტურის ოთხი მატჩი. შედეგები ასეთია:

„ყაირათი“-„ლოკომოტივი“ — 1:1
ცსკა-„არარატი“ — 1:1.
„ნეფთჩი“-„კარპატი“ — 0:0
„დინამო“ (მ.)-„ზენიტი“. მატჩი გვიან დამთავრდა.

უძლიერესის სახელისათვის

გუშინ საქართველოს ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა) დამთავრდა 9 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები.

ჩაჩიბაიას მოსაგები პოზიცია ჰქონდა სტურუასთან. იგი მეფით შეიჭრა მეტოქის განლაგებაში და გაიმარჯვა. ეს სტურუას პირველი წაგებაა. ეფიმოვი თამაშის განუახლებად დანებდა ალექსანდრიას. თორია-გედეევანიშვილის გამოტოვებული პარტია სწრაფად დამთავრდა ყაიმით.

9 ტურის შემდეგ 8,5 ქულით წინ არის ოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი. 7,5 ქულა აქვს ოსტატ ზურაბ სტურუას.

დღეს შეჯიბრების მონაწილეები ისვენებენ. ხვალ, დილის 11 საათზე დაიწყება მორიგი, მეათე ტური.

საგურნირო ორგიტა

ჰაბრაკი. ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები დაიწყება 20 ივლისს. ბუენოს-აირესში ოთამაშებენ პოლუგაევსკი და კორჩნოი, რეიკიავიკში კი პორტიშმა და ჰიუბნერი. მეტოქეები ერთმანეთს თორმეტჯერ შეხვდებიან და ვინც ყველაზე ადრე დააგროვებს მინიმუმ 6,5 ქულას გამარჯვებაც მას დარჩება. ასე გამოვლინდება ნახევარფინალების ორი გამარჯვებული.

ოდესაში გაიმართა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის მეექვსე პარტია ტატიანა ლემაჩკოსა (ბულგარეთი) და მარტა ლიტინსკაიას (სსრ კავშირი) შორის. პარტია გადაიდო 41-ე სვლაზე. მისი დამთავრება დღეს მოეწყობა. ჯერჯერობით ანგარიშია 3,5:1,5 ლიტინსკაიას სასარგებლოდ.

ფარიკაობა. მოსკოვში გრძელდება სსრ კავშირის ჩემპიონატი. რაბირისტ ვაჟებში პირველობა მოიპოვა ტაშკენტელმა საბირ რუზიევმა, მოხმალავეთა შორის კი უძლიერესი იყო მოსკოველი ვიქტორ კროვოპუსკოვი.

ხელბურთი. ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში დამთავრდა ვაჟთა ნაკრება გუნდების საერთაშორისო ასპარეზობა. პირველობა არავის დაუთმეს რუმინელებმა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: 2. იუგოსლავია, 3. ესპანეთი, 4. სსრ კავშირი, 5. შვეიცარია.

სამგზავრო ყირგიზეთის დედაქალაქ ფრუნზეში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი. 48 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში თბილისელი სოსო როსტიაშვილი პირველ წრეში შეხვდა ჯამბულელ კანატ ბაიშულაკოვს და დამარცხდა. 68 კილოგრამამდე წონაში კი პირველი გამარჯვება მოიპოვა 33 წლის სარატოველმა კონსტანტინე გერასიმოვმა. მან მოუგო ფრუნზელ ლევ ულიანოვს. ჩემპიონატი ოთხ დღეს გასტანს. მედლების პირველ მფლობელთა ვინაობა ხუთს წონით კატეგორიაში ცნობილი გახდება 18 ივნისს.

ცხენოსნობა. მოსკოვში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატზე გათამაშდა „დიდი პრიზი“ ცხენის გაწვრთნაში. პირველი ადგილი მოიპოვა უზბეკეთის წარმომადგენელმა იური კოვშოვმა — 1630 ქულა.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

18 ივნისი

თბილისი

პირველი პროგრამით: 09.30 — „ვარემია“ (ფ.), 10.55 — აბიბურიენტებათვის — მათემატიკა (ფ.), 17.25 — განცხადებები (ფ.), 17.30 — შვეიცარიელთა გერმანული ენა (ფ.), 18.00 — „ისრაელის კომუნისტები ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისათვის: ბრძოლა“ — ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამბ. მეირ ვილნერის ინტერვიუ (ფ.), 18.20 — მუსტაფლეკაციური ფილმი, 18.35 — „გარეგნობა“ — სახალხო დღესასწაული (ფ.), 19.00 — „ალეობუსი“ (ფ.), 19.45 — „დღეს მოფლიონში“ (მ.), 20.00 — „ემირეოგა“ (ფ.), 20.30 — „ზოამბე“ (ფ.), 21.00 — „ჯაკომო პუჩინი“ (ფ.), 22.00 — „ვარემია“ (მ.), 22.35 — იაკობ ნიკოლაძის საიუბილეო საღამო, ვიდეოორანაჟური (ფ.), 23.45 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.50 — კინოსარკვევი, 16.00 — საუნივერსიტეტისათვის — მასალათა გაძლვლეობა (ფ.), 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — საესტრადო კონცერტი (ფ.), 17.35 — მუსტაფლეკაციური ფილმები, 18.20 — მბაგვრული ფილმი „ნელსწყიფენი, რეგენტები და მასწავლებელი“.

მოსკოვი

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვარემია“, 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — მბაგვრული ტელეფილმი „ნელსაყრელი კონტაქტი“. პირველი სერია — „ნეიტლინის ქუთუკი“, 11.10 — კინომოზაურობის კლუბი. დამთავრების შემდეგ და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 კინოპროგრამა — ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, 16.45 — რას და როგორ ასწავლიან პროფტექნიკურ სასწავლებელში. მშენებლის პროფესიის შესახებ, 17.30 — ჭადრაკის სკოლა, 18.00 — ისრაელი კომუნისტები ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისათვის ბრძოლაში“ — ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამბ. მეირ ვილნერის ინტერვიუ, 18.20 — „ფანტასტიკა“ — ფილმი, 19.50 — „ბერეგინა“ — ტელეფილმი. 20.00 — „ვარემია“. გადაცემა მიუძღვნეს ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს ვ. ი. ატაროვს, 20.30 — ნაცნობი მელოდიები, 20.55 — მბაგვრული ტელეფილმი „ნელსაყრელი კონტაქტი“, მეორე სერია — „მეკავშირე“, 22.00 — „ვარემია“, 22.35 — დოკუმენტური ეკრანი. დამთავრების შემდეგ — დღეს მოფლიონში.

მეოთხე პროგრამით: 20.00 — მუსიკალური კიოსკი, 20.30 — დოკუმენტური ტელეფილმი „ფერადი ქვები“, 20.45 — „ძალი ნებისა, პაპარიბო“, 21.00 — ფეხბურთი. „ნორპედო“ — მინსკის „დინამო“. მეორე ტაიმი, 21.45 — ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა სოლისტების — სატირთა შორისო კონკურსების ლაურეატების კონცერტი, 22.40 — მბაგვრული ფილმი „ნელსწყიფენი, რეგენტები და მასწავლებელი“ სალაროებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 ივნისი

თბილისი

პირველი პროგრამით: 09.30 — „ვარემია“ (ფ.), 10.55 — აბიბურიენტებათვის — მათემატიკა (ფ.), 17.25 — განცხადებები (ფ.), 17.30 — შვეიცარიელთა გერმანული ენა (ფ.), 18.00 — „ისრაელის კომუნისტები ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისათვის: ბრძოლა“ — ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამბ. მეირ ვილნერის ინტერვიუ (ფ.), 18.20 — მუსტაფლეკაციური ფილმი, 18.35 — „გარეგნობა“ — სახალხო დღესასწაული (ფ.), 19.00 — „ალეობუსი“ (ფ.), 19.45 — „დღეს მოფლიონში“ (მ.), 20.00 — „ემირეოგა“ (ფ.), 20.30 — „ზოამბე“ (ფ.), 21.00 — „ჯაკომო პუჩინი“ (ფ.), 22.00 — „ვარემია“ (მ.), 22.35 — იაკობ ნიკოლაძის საიუბილეო საღამო, ვიდეოორანაჟური (ფ.), 23.45 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.50 — კინოსარკვევი, 16.00 — საუნივერსიტეტისათვის — მასალათა გაძლვლეობა (ფ.), 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — საესტრადო კონცერტი (ფ.), 17.35 — მუსტაფლეკაციური ფილმები, 18.20 — მბაგვრული ფილმი „ნელსწყიფენი, რეგენტები და მასწავლებელი“.

მოსკოვი

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვარემია“, 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — მბაგვრული ტელეფილმი „ნელსაყრელი კონტაქტი“. პირველი სერია — „ნეიტლინის ქუთუკი“, 11.10 — კინომოზაურობის კლუბი. დამთავრების შემდეგ და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 კინოპროგრამა — ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, 16.45 — რას და როგორ ასწავლიან პროფტექნიკურ სასწავლებელში. მშენებლის პროფესიის შესახებ, 17.30 — ჭადრაკის სკოლა, 18.00 — ისრაელი კომუნისტები ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისათვის ბრძოლაში“ — ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამბ. მეირ ვილნერის ინტერვიუ, 18.20 — მუსტაფლეკაციური ფილმი, 18.35 — „გარეგნობა“ — სახალხო დღესასწაული (ფ.), 19.00 — „ალეობუსი“ (ფ.), 19.45 — „დღეს მოფლიონში“ (მ.), 20.00 — „ემირეოგა“ (ფ.), 20.30 — „ზოამბე“ (ფ.), 21.00 — „ჯაკომო პუჩინი“ (ფ.), 22.00 — „ვარემია“ (მ.), 22.35 — იაკობ ნიკოლაძის საიუბილეო საღამო, ვიდეოორანაჟური (ფ.), 23.45 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.50 — კინოსარკვევი, 16.00 — საუნივერსიტეტისათვის —